ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2024-2027 წლებისათვის

სამთავრობო პროგრამა 2021 – 2024
„ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის“

მიზანი

პანდემიით შექმნილი კრიზისის დაძლევა, ეკონომიკის სწრაფი აღდგენა და განვითარება, თითოეული მოქალაქისათვის სტაბილური და უსაფრთხო გარემოს შექმნა.

4 ძირითადი მიმართულება

- **საგარეო პოლიტიკა, უსაფრთხოება, კონფლიქტის მოგვარება და ადამიანის უფლებები**

ქვეყნის ოკუპაციის, მზარდი საგარეო საფრთხეების პირობებში, მნიშვნელოვანია,ქვეყნის სტრატეგიულ პარტნიორებთან თანამშრომლობის გაღრმავება, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია, საერთაშორისო სტანდარტებთან თავსებადი თავდაცვისუნარიანობის სისტემის, შიდა უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დაცვის სტრუქტურების ეფექტიანი ფუნქციონირება. ამავე დროს, მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებების მაღალი სტანდარტის განუხრელი დაცვა. ამასთან, ევროკავშირთან სრულფასოვანი ინტეგრაციის გზაზე, მნიშვნელოვანი ასპექტი იქნება ეკონომიკური, სავაჭრო, სატრანსპორტო, საკომუნიკაციო, ენერგეტიკული ურთიერთკავშირების გაღრმავება ევროკავშირთან.

- **ეკონომიკური განვითარება**

მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა იქნება ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობი. ამოსავალი იქნება ბიზნესის პოსტკრიზისული სწრაფი აღდგენისა და განვითარების ხელშეწყობა, რამაც, თავის მხრივ, უნდა უზრუნველყოს სამუშაო ადგილების შექმნა და უკიდურესი სიღარიბის დაძლევა. ამასთან, სახელმწიფო, მის ხელთ არსებული ეკონომიკური პოლიტიკის ყველა ინსტრუმენტის გამოყენებით, ხელს შეუწყობს ეკონომიკური განვითარებისთვის დამატებითი სტიმულების შექმნას.

- **სოციალური პოლიტიკა და ადამიანური კაპიტალის განვითარება**

სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს ადამიანური კაპიტალის, როგორც ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორის, გაძლიერებას, სოციალური უზრუნველყოფის ღირსეული სისტემის განვითარებას, ჯანდაცვის სისტემის შემდგომ განვითარებასა და ეფექტიან მართვას და, პანდემიის მიერ შექმნილი ბარიერების მიუხედავად, ხარისხიანი, ხელმისაწვდომი და ტექნოლოგიურ მიდგომებზე დაფუძნებული განათლების სისტემის უზრუნველყოფას.

- **სახელმწიფო მმართველობა**

ძლიერი სახელმწიფო ინსტიტუტები, კვალიფიციური და კეთილსინდისიერი მოხელეები ძლიერი სახელმწიფოს მშენებლობისთვის მნიშვნელოვანი რესურსია. კრიზისთან ბრძოლის ფარგლებში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფო მმართველობის ეფექტიანობასა და შედეგზე ორიენტირებულ მუშაობას, რომელიც ხილული და ხელშესახები უნდა იყოს თითოეული მოქალაქისთვის.

ძირითადი საბიუჯეტო და მაკროეკონომიკური პარამეტრები

- ეკონომიკის სტაბილიზაცია და მომდევნო ეტაპზე ეკონომიკის მდგრადი და მაღალი ტემპით ზრდა;
- საშუალოვადიან პერიოდში ინფლაციის დონის მიზნობრივი მაჩვენებლის შენარჩუნება;
- უმუშევრობის დონის შემცირება;
- საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება;

საშუალოვადიან პერიოდში ქვეყნის მაკროეკონომიკური პოლიტიკა მიმართული იქნება მაკროეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველყოფისაკენ, რომლის მისაღწევად ძირითადი პრიორიტეტებია:

საშუალოვადიანი მაკროეკონომკური პროგნოზები

	2020	2021	2022	2023	2024	2025	2026	2027
	ფაქტ.	ფაქტ.	ფაქტ.	მოსალ.	პროგნ.	პროგნ.	პროგნ.	პროგნ.
რეალური მშპ (ზრდის ტემპი)	-6.8	10.5	10.4	6.5	5.2	5.0	5.0	5.0
ნომინალური მშპ (მლნ ლარი)	49,266.7	60,003.3	72,265.7	79,350.4	85,980.9	92,988.4	100,566.9	108,763.1
მშპ ერთ სულ მოსახლეზე (აშშ დოლარი)	4,255.7	5,023.2	6,676.3	8,126.9	8,546.1	9,242.6	9,995.8	10,810.5
სამომხმარებლო ფასების ინდექსი (საშუალო პერიოდის განმავლობაში)	5.2	9.6	11.9	2.6	2.8	3.0	3.0	3.0
მიმდინარე ანგარიში (პროცენტულად მშპ-თან)	-12.5	-10.4	-4.5	-4.6	-4.7	-4.6	-4.3	-4.0

ცხრილი1. ძირითადი მაკროეკონომიკური ინდიკატორები

მიმდინარე ძირითადი ეკონომიკური ტენდენციები



ეკონომიკური ზრდის დარგობრივი სტრუქტურა

2022 წლის მონაცემებით ეკონომიკური ზრდა დაფიქსირდა შემდეგ დარგებში: ინფორმაცია და კომუნიკაცია (59.1%), ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება (29.3%), სამთომოპოვებითი მრეწველობა (26.1%), ტრანსპორტი და დასაწყობება (24.7%), ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები (19.5%), მშენებლობა (16.5%), განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები (14.6%), საბითუმო და საცალო ვაჭრობა (10.8%). ხოლო კლება დაფიქსირდა შემდეგ დარგებში: ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები (16.3%), უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები (3.7%), პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები (3.5%).

2023 წლის პირველი ნახევრის ეკონომიკურ აქტივობაში ზრდა აღინიშნებოდა შემდეგ დარგებში: ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები 37.2 პროცენტი, ინფორმაცია და კომუნიკაცია 35.3 პროცენტი, მშენებლობა 22.9 პროცენტი, განათლება 17.0 პროცენტი, პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები 16.9 პროცენტი, საბითუმო და საცალო ვაჭრობა 15.8 პროცენტი. კლება დაფიქსირდა შემდეგ დარგებში: ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები 13.7 პროცენტი, სამთომოპოვებითი და დამამუშავებელი მრეწველობა 5.0 პროცენტი, წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები 3.5 პროცენტი.

მთლიანი შიდა პროდუქტის დინამიკა

2022 წელს, მთლიანი შიდა პროდუქტის რეალურმა ზრდამ წინა წელთან შედარებით 10.4 პროცენტი შეადგინა.

2023 წლის პირველი ნახევრის მონაცემებით, მშპ-ს რეალური ზრდა 7.9 პროცენტის დონეზე დაფიქსირდა.

უმუშევრობის დონე

2022 წელს უმუშევრობის დონე 2021 წელთან შედარებით 2.1 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 20.6% შეადგინა. ხოლო 2023 წლის პირველ კვარტალში უმუშევრობის დონე 17.3%, მეორე კვარტალში 18.0%, ხოლო მესამე კვარტალში 15.6 პროცენტს შეადგენს.

ლარის გაცვლითი კურსი

2022 წელს ლარი გამყარდა აშშ დოლართან მიმართებაში.

2023 წლის ოქტომბერში 2022 წლის დეკემბერთან შედარებით ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ არ შეცვლილა და 2.7 ლარი შეადგინა ერთ აშშ დოლარზე.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

2022 წელს, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა 67.5 პროცენტით გაიზარდა და 2 097.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

2023 წლის პირველ ნახევარში საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 1 072.2 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა

ტურიზმი

2022 წელს, საქართველოს 5 427 ათასი ვიზიტორი ეწვია

2023 წლის იანვარ-სექტემბერში, საქართველოს 5 567.0 ათასი საერთაშორისო ვიზიტორი ეწვია

მიმდინარე ანგარიშის ბალანსი

2022 წელს, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი 4.5 პროცენტს შეადგენს. საშუალოვადიან პერიოდში ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკა მიმართული იქნება მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის შემცირებისაკენ.

ფისკალური პოლიტიკა

2021 წლის მსგავსად (10.5%) მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდამ კვლავ ორნიშნა მაჩვენებელს მიაღწია და 10.4 პროცენტზე დაფიქსირდა

2024-2027 წლებში საშუალო ეკონომიკური ზრდა 5.0%-ზეა პროგნოზირებული.

კერძო სექტორის როლი ეკონომიკურ ზრდაში

2022 წელს ბიზნეს სექტორის ბრუნვის მოცულობა 21.1 პროცენტით, ხოლო საწარმოთა მიერ გამოშვებული პროდუქციის ღირებულება 26.7 პროცენტით გაიზარდა.

2023 წლის პირველ ნახევარში ბიზნეს სექტორის ბრუნვის მოცულობა 14.8 პროცენტით, ხოლო საწარმოთა მიერ გამოშვებული პროდუქციის ღირებულება 11.8 პროცენტით გაიზარდა.

ფასები

2022 წელს წლიური ინფლაციის დონე 9.8 პროცენტით განისაზღვრა.

2023 წლის ოქტომბერში საქართველოში ინფლაციის დონემ წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით (წლიური ინფლაცია) 0.8 პროცენტი შეადგინა.

საგარეო ვაჭრობა

2022 წელს საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 19 131.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა

2023 წლის იანვარ-ოქტომბერში საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 17 785.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა

ფულადი გზავნილები

2022 წელს, წმინდა ფულადი გზავნილები წინა წელთან შედარებით 98.2 პროცენტით გაიზარდა და 4 028.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა

2023 წლის იანვარ-ოქტომბერში წმინდა ფულადი გზავნილები წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 6.4 პროცენტით გაიზარდა და 3 231.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა

www.mof.ge

საქართველოს 2022 წლის ნაერთი ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლები



შემოსავლები 19,377.5 მლნ ლარი

გადასახადები 17 385.9 მლნ ლარი

გრანტები 364.7 მლნ ლარი

სხვა შემოსავლები 1 627.0 მლნ ლარი

არაფინანსური აქტივების კლება 435.6 მლნ ლარი

ფინანსური აქტივების კლება 102.4 მლნ ლარი

ვალდებულებების ზრდა 3 733.9 მლნ ლარი

2022 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებები სხვადასხვა სფეროების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა:



- სოციალური სფერო - 4 631.4 მლნ ლარი;
- განათლება - 1 829.3 მლნ ლარი;
- ჯანმრთელობის დაცვა - 2 037.9 მლნ ლარი;
- ტრანსპორტი - 1 980.1 მლნ ლარი;
- სოფლის მეურნეობა - 680.6 მლნ ლარი;
- ენერგეტიკა - 250.1 მლნ ლარი;
- დასვენება, კულტურა, სპორტი, რელიგია - 509.0 მლნ ლარი;
- თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - 2 723.9 მლნ ლარი.

2022 წელს განხორციელებული ძირითადი ღონისძიებები:

- 2022 წლის იანვრიდან გაიზარდა პენსიის ოდენობა და 70 წლამდე ასაკის პენსიონერისათვის განისაზღვრა 260 ლარით, 70 წლის ან მეტი ასაკის პენსიონერისათვის – 300 ლარით.
- 2022 წლის პირველი ივნისიდან სოციალურად დაუცველი ბავშვების დახმარება გაიზარდა 50 ლარით და შეადგინა 150 ლარი.
- ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელებიდან გამომდინარე განხორციელებული ღონისძიებების დასაფინასნებლად საანგარიშო პერიოდში მიიმართა 573.3 მლნ ლარამდე
- ქვეყნის მასშტაბით არსებული 2079 საჯარო და 209 კერძო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დასაფინანსებლად მიიმართა 999.7 მლნ ლარი.
- 2022 წელს განხორციელდა საჯარო სკოლების მოსწავლეების ტრანსპორტირება. დაფინანსდა 56 მუნიციპალიტეტი 1 081 საჯარო სკოლის 62 828 მოსწავლის ტრანსპორტირებით უზრუნველყოფის მიზნით.
- სამშენებლო სექტორის ხელშეწყობის „იპოთეკური კრედიტების მხარდაჭერის მექანიზმის“ ფარგლებში სუბსიდირება გაეწია 6 285 ბენეფიციარს ჯამურად 18.4 მლნ ლარის ოდენობით.
- საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებებზე, გზების მოვლა-შენახვაზე, ახალი მაგისტრალების, შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების მშენებლობაზე დახარჯულ იქნა 1 946.2 მლნ ლარი
- წყალმომარაგების ღონისძიებების დასაფინანსებლად საანგარიშო პერიოდში მიმართული იქნა 445.5 მლნ ლარი
- უკრაინელი ხალხის მხარდასაჭერად გაწეული დახმარება ჯამურად აღემატება 36.0 მლნ ლარს

საქართველოს 2023 წლის ნაერთი ბიუჯეტის საპროგნოზო მაჩვენებლები



შემოსავლები 21 640.0 მლნ ლარი

გადასახადები 19 410.0 მლნ ლარი

გრანტები 380.0 მლნ ლარი

სხვა შემოსავლები 1 850.0 მლნ ლარი

არაფინანსური აქტივების კლება 350.0 მლნ ლარი

ფინანსური აქტივების კლება 420.0 მლნ ლარი

ვალდებულებების ზრდა 3 280.0 მლნ ლარი

2023 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული ასიგნებები სხვადასხვა სფეროების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა:

სოციალური სფერო - 5 712.6 მლნ ლარი

განათლება - 2 365.7 მლნ ლარი

ჯანმრთელობის დაცვა - 1 727.7 მლნ ლარი

ტრანსპორტი - 1 899.0 მლნ ლარი

სოფლის მეურნეობა - 617.3 მლნ ლარი

ენერგეტიკა - 34.6 მლნ ლარი

დასვენება, კულტურა, სპორტი, რელიგია - 497.5 მლნ ლარი

თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - 3 228.9 მლნ ლარი

„ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილიზღვრული პარამეტრების გათვალისწინებით

ა) 2024 წელს სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტის უარყოფითი მთლიანი სალდო – 2 177.0 მლნ ლარით, რაც პროგნოზირებული მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ-ის) 2.5%-ს შეადგენს (დადგენილი ზღვარი – მშპ-ის 3%);
ბ) 2024 წლის ბოლოსთვის საქართველოს მთავრობის ვალის ზღვრული მოცულობა – მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ-ის) 38.0%-ით, ხოლო საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტებში აღებული ვალდებულებების მიმდინარე ღირებულების შეფასება (2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით) – მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ-ის) 0.1%-ით – ჯამი: მშპ-ის 38.1% (დადგენილი ზღვარი – მშპ-ის 60%).

საქართველოს 2024-2027 წლების შემოსულობების პროგნოზი

2024-2027 წლების ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი მშპ-სთან მიმართებაში საშუალოდ 27.9%, ხოლო საგადასახადო შემოსავლების წილი საშუალოდ 25.5%-ის დონეზეა ნავარაუდევი. 2024 წელს ნაერთი ბიუჯეტის სხვა შემოსავლების წილი მთლიანი შიდა პროდუქტის მიმართ სავარაუდოდ 2.3%-ს გაუტოლდება, ხოლო არაფინანსური და ფინანსური აქტივების რეალიზაციიდან მისაღები თანხების მოცულობა მშპ-თან მიმართებაში შესაბამისად 0.4 და 0.3 პროცენტი იქნება.

www.mof.ge

ავტონომიური რესპუბლიკების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების პრიორიტეტები,მათ შორის:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პრიორიტეტები

ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა და დასაქმების ხელშეწყობა,

აჭარის საინვესტიციო პოტენციალის მიზნობრივი მარკეტინგი, კონკრეტული საინვესტიციო პროექტების შემუშავება და პოტენციური ინვესტორებისათვის შეთავაზება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის ეფექტიანობის ამაღლება

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვა

რეგიონის ტურიზმისა და კურორტების განვითარების ხელშეწყობა

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება

ქალაქის დასუფთავება, ეკოლოგიური მდგომარეობისა და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება

განათლება

კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

ქალაქის ეკონომიკური და ურბანული განვითარება

მუნიციპალური სერვისების განვითარება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენა

ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება

ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება

ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

განათლება

კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა

საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

დასუფთავება და გარემოს დაცვა

განათლება

სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა

ადგილობრივი მნიშვნელობის ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების განხორციელება

თელავის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

ინფრასტრუქტურის განვითარება

დასუფთავება და გარემოს დაცვა

განათლება

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის პრიორიტეტები

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

დასუფთავება და გარემოს დაცვა

განათლება

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყობა

ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

ინფრასტრუქტურის განვითარება

დასუფთავება და გარემოს დაცვა

განათლება

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

www.mof.ge